

## დამოუკიდებელი მარწმუნებელი ანგარიში

30 მარტი 2020  
თბილისი საქართველო

სს „ჰერიტიჯ სიქიურითიზ“  
საქართველოს ეროვნულ ბანკს

### შესავალი

შპს „ფი-ქეი-ეფ ჯორჯია“ -სა და სს „ჰერიტიჯ სიქიურითიზ“ -ს შორის 2017 წლის 28 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების დანართი N1- ის (შემდგომში „კონტრაქტი“) შესაბამისად, შპს „ფი-ქეი-ეფ ჯორჯია“ -მ იკისრა ვალდებულება, მხარეთა შორის შეთანხმებული 3000 მარწმუნებელი სტანდარტის საფუძველზე, განეხორციელებინა სს „ჰერიტიჯ სიქიურითიზ“ -ის (შემდგომში „კომპანია“) მიერ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 ივლისის №145/04 ბრძანების მე-9 მუხლის პირველ, მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების მოთხოვნებს (ამ დასკვნის დანართი N1) და ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის საკუთარი, კლიენტების სახსრებისა და ფინანსური ინსტრუმენტების რეკონსილაციის ვალდებულების შესრულების დადასტურება.

ჩვენ მომსახურება შევასრულეთ მარწმუნებელი გარიგების საერთაშორისო სტანდარტი 3000-ით (შემოკლებით „მგსს 3000“). ჩვენი ფირმა იყენებს ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტს (ხკსს) 1-ს, მარწმუნებელი და სხვა სახის მომსახურების გარიგებებისას. ამავდროულად, ჩვენ ვიცავთ დამოუკიდებლობისა და პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ნორმებს.

---

სს ფი ქეი ეფ კაიზენი

+995 322 24 30 30  
დავით აღმაშენებლის გამზირი 61, III სართული,  
0102, თბილისი, საქართველო  
[www.pkfg.ge](http://www.pkfg.ge)

სს ფი ქეი ეფ კაიზენი წარმოადგენს გლობალური ქსელის, ფი ქეი ეფ ინტერნიშენალის იურიდიულად დამოუკიდებელ წევრ კომპანიას. ფი ქეი ეფ ინტერნიშენალი არ არის პასუხისმგებელი, ინდივიდუალური თუ კორპორაციული წევრი ფირმების, ქმედებითა და უმოქმედობით დამდგარ შედეგებზე.

### მხარეთა პასუხისმგებლობები

„კონტრაქტორი“ პასუხისმგებელია მოთხოვნის შესაბამისად ბრალეული გაჭიანურების გარეშე მიაწოდოს შემსრულებელს ყველა საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტაცია (მათ შორის ელექტრონული ფორმით) ხოლო ჩვენ პასუხისმგებლები ვართ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დამოუკიდებელი დასკვნის გამოტანაზე.

### შესრულებული სამუშაოებისა და გამოყენებული კრიტერიუმები

ჩავატარეთ შემდეგი პროცედურები:

- ✓ მოვიპოვეთ და შევამოწმეთ კომპანიის როგორც საკუთარი, ასევე კლიენტების სახსრებისა და ფინანსური ინსტრუმენტების მოძრაობის სააღრიცხვო შიდა ჩანაწერები;
- ✓ მოვიპოვეთ და შევამოწმეთ კომპანიის საბანკო ანგარიშებზე არსებული თანხების მოძრაობის ამსახველი დოკუმენტები;
- ✓ საქართველოს ეროვნული ბანკის საიტიდან მოვიპოვეთ ინფორმაცია იმ ბანკების ლიცენზირების შესახებ, რომლებშიც კომპანია გახსნილი აქვს ანგარიშები;
- ✓ ბანკებიდან გამოვითხოვეთ ნომინალური მფლობელობის ანგარიშებზე ფინანსური სახსრების მოძრაობის ამონაწერები ხელმოწერილი ფორმით და მოვიპოვეთ რწმუნება, რომ კომპანიას კლიენტების ფულადი სახსრები განთავსებული აქვს საკუთარი სახსრებისაგან განცალკევებით;

მიწოდებულ ინფორმაციაზე, ჩატარებული პროცედურებით ხარვეზები ან შეუსაბამობა არ გამოვლენილა

### მოდიფიცირებული მოსაზრება

ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ვასკვნით, რომ გარდა პირობითი მოსაზრების საფუძველის აბზაცში აღწერილი გარემოებისა, სს "ჰერიტიჯ სიქიურითიზ" შესრულებული აქვს სსიპ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 ივლისის ბრძანების №145/04 მე-9 მუხლის პირველ, მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების მოთხოვნები (დანართი N1) და ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის საკუთარი, კლიენტების სახსრებისა და ფინანსური ინსტრუმენტების რეკონსილაციის ვალდებულების შესრულების ვალდებულება.

### მოსაზრების საფუძველი

სს "ჰერიტიჯ სიქიურითიზ" მიერ შესრულებული სსიპ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 ივლისის ბრძანების №145/04 მე-9 მუხლის ხუთივე პუნქტის მოთხოვნები (დანართი N1) მაგრამ კლიენტების სრული სიის არ მოწოდების შედეგად, ვერ განხორციელდა ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის საკუთარი, კლიენტების სახსრებისა და ფინანსური ინსტრუმენტების რეკონსილაციის ვალდებულება.

აუდიტის მონაწილე პარტნიორი ამ დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიშში არის დავით გვეტაძე.

სს ფი-ქეი-ეფ კაიზენის სახელით:

თბილისი, საქართველო

30 მარტი 2021





**დანართი №1**

ამონარიდი საქართველოს ეროვნული ბანკის 2018 წლის 5 ივლისის ბრძანების ბრძანების №145/04 მე-9 მუხლიდან:

1. საბროკერო კომპანიამ უნდა უზრუნველყოს შიდა ჩანაწერებში , ბუღალტრულ პროგრამასა და , არსებობის შემთხვევაში , სავაჭრო პლატფორმაზე კლიენტების სახსრებისა და ფინანსური ინსტრუმენტების ერთმანეთისგან და საკუთარი სახსრებისგან გამოიჯვანა .
2. საბროკერო კომპანია ვალდებულია კლიენტების ფულადი სახსრები განათავსოს საკუთარი სახსრებისაგან განცალკევებით ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულ კომერციულ ბანკში , საბროკერო კომპანიასა თუ ცენტრალურ დეპოზიტარში ან განვითარებულ ქვეყნებში ლიცენზირებულ ფინანსურ ინსტიტუტში გახსნილ ნომინალური მფლობელობის ანგარიშებზე . დაუშვებელია ამ ანგარიშებზე კლიენტების ფულადი სახსრების გარდა სხვა ფულადი სახსრების განათავსება .
3. საბროკერო კომპანიამ უნდა უზრუნველყოს , რომ მის მიერ მესამე პირთან განთავსებული კლიენტის კუთვნილი ფინანსური ინსტრუმენტები გამოიჯნული იყოს ამ მესამე პირის , საბროკერო კომპანიისა და მესამე პირის სხვა კლიენტის აქტივებისგან .
4. კლიენტების სახსრების განკარგვა უნდა ხდებოდეს მხოლოდ კლიენტთან დადებული ხელშეკრულების და /ან კლიენტების დავალებების პირობების შესაბამისად და არ უნდა მოხდეს მისი გამოყენება საბროკერო კომპანიის ან სხვა მესამე პირის საოპერაციო ან /და სხვა საქმიანობის დასაფინანსებლად .
5. საბროკერო კომპანია ვალდებულია კლიენტის კუთვნილი ფინანსური ინსტრუმენტები არ გამოიყენოს საკუთარი ან ნებისმიერი სხვა პირის მიზნებისთვის , გარდა იმ შემთხვევებისა , როდესაც არსებობს მხარეებს შორის ხელშეკრულება ან კლიენტის დავალება ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებაზე შესაბამისი განსაზღვრული პირობებით .
6. საბროკერო კომპანია ვალდებულია ყოველდღიურად წინა დღის მდგომარეობით მოახდინოს კლიენტების სახსრების რეკონსილაცია ვალუტების დონეზე კომპანიის შიდა ჩანაწერებსა და მესამე მხარეების ჩანაწერებს შორის , სადაც განთავსებულია აღნიშნული კლიენტების სახსრები .
7. საბროკერო კომპანია ვალდებულია ყოველი თვის ბოლოს არსებული მდგომარეობით მოახდინოს კლიენტების სახელით მფლობელობაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების რეკონსილაცია საბროკერო კომპანიის შიდა ჩანაწერებსა და მესამე მხარეების ჩანაწერებს შორის , სადაც განთავსებულია აღნიშნული ფინანსური ინსტრუმენტები . რეკონსილაცია უნდა განხორციელდეს თვის ბოლოდან 7 სამუშაო დღის განმავლობაში .
8. იმ შემთხვევაში , თუ ვერ ხერხდება ამ მუხლის მე -6 და მე -7 პუნქტებით გათვალისწინებული რეკონსილაცია ან თუ საბროკერო კომპანია აღმოაჩენს არსებით ხარვეზს რეკონსილაციისას , საბროკერო კომპანია ვალდებულია შეატყობინოს ეროვნულ ბანკს ფაქტის აღმოჩენიდან ორი სამუშაო დღის განმავლობაში .